# სახალხო გაზეთი

№ 331 ხუთშაბათი, 24 ივნისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 331

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური პოლიტიკური და ლიტერატურო გამოცემა.



**ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა** ამით აცნობებს ნათესავთა და მეგობართ, საყვარელ ქმრის

## დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის

**გარდაცვალებას.** პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, შაბათს, 25 ივნისს კი, საღამოს 8 საათზე. გამოსვენება კვირას 26 ივნისს, დილის სწორედ 9 საათზე. წირვა სიონის საკათედრო ტაძარში; დაკრძალვა დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში.

(6—1356—4)

**მთავარ კანტორის მოსამსახურენი** მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, მეგობარს და დაუვიწყარ

## დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის

გარდაცვალებას.

(6—1356—4)

დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხნის მუშები გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მეგობრის და საყვარელ

## დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის

გარდაცვალებას. (6—1356—4)

კანტორის პატრონის

## დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის

**გარდაცვალების გამო მთავარი კანტორა დაიკეტება 27 ივნისამდე.**

(6—1356—4)

**ალექსანდრე პეტრეს ძე, ალექსანდრე თეოდორეს ძე სარაჯიშვილნი და ადამ ივანეს ძე ფორაქიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის

## დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილისას

პანაშვიდები მუდამ დღე საღამოს 7 საათზე, შაბათს კი საღამოს 8 საათზე. გამოსვენება კვირას 26 ივნისს, დილის სწორედ 9 საათზე. წირვა სიონის საკათედრო ტაძარში; დაკრძალვა დიდუბის ეკლესიაში.

(4—676—3)

**ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე-კომიტეტი და ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო** საყოველთაოდ აცხადებენ, რომ დღეს, 24 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის საზოგადოების საპატიო წევრის

## დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად.

(1—1364—1)

**ტფილისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურობის წინამძღოლნი და დეპუტატნი** ღიარებენ თავის ღრმეს პატივისცემას გარდაცვალებულის

## დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის

ხსოვნის მიმართ, და სთხოვენ გუბერნიის თავად აზნაურთ და აგრეთვე განსვენებულის მახლობელთ და პატივის-მცემელთ, მობრძანდნენ პანაშვიდზე, რომელიც გადახდილ იქმნება გარდაცვალებულის **სულის მოსახსენებლად 24 ივნისს, საღამოს 7 საათზე,** მიცვალებულის სახლში.

(1—688—1)

**ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა** ღრმეს მწუხარებას აცხადებს თავის საუკეთესო წევრის

## დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის

გარდაცვალების გამო. უმორჩილესად სთხოვს საზოგადოების წევრთ დაესწრნენ მის სულის მოსახსენებლად პანაშვიდს, რომელიც გარდახდილ იქნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დღეს, საღამოს 6 საათზე.

(1—1360—1)

**ქართული ფილარმონიული საზოგადოება** აუწყებს საზოგადოებას, რომ დღეს, პარასკევს, 24 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი

## დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად.

((1—1361—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აუწყებს ბ-ნთ ხმოსნებსა და მცხოვრებთ, რომ დღეს, პარასკევს, 24 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში გადახდილი იქნება პანაშვიდი დაუვიწყარ ქველმოქმედის და ყოფილ ხმოსან

# დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად. მისავალი—ველიამინოვის ქუჩიდან. (1—1359—1)

**ქართული დრამატიული დასი** აუწყებს საზოგადოებას, რომ დღეს, 24 ივნისს, საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში გარდახდილ იქნება პანაშვიდი

## დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად.

(1—687—1)

**ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა** აუწყებს რა ამით საზოგადოების ყველა წევრთ უდროვოდ გარდაცვალებას საზოგადოების დამფუძნებელ წევრის და ქართული თეატრის ქველ-მოქმედის

## დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილისას.

სთხოვს ყველა გულშემატკივართ მობრძანდნენ დღეს პარასკევს საღამოს 6 საათზედ ქვაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდზე განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

(1—687—1)

**ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი** ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ დღეს, (პარასკევს) 24 მაისს, საღამოს 6 საათზე, ქაშვეთის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი გარდაცვალებულის

## დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად.

(1—1363—1)

**ვაჭრები, კანტორები და სხვ. მდგმურები,** რომელნიც დ. ზ. სარაჯიშვილის სახლებში (სასახლის ქ. № 3 და 6) ქირაობენ ბინას, აუწყებენ საზოგადოებას, რომ დღეს პარასკევს, 24 ივნისს, შუადღის 12 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი დაუვიწყარ და დიდად ჰუმანიურ პატრონის

## დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილისა

საკუთარ სახლში, სერგიევის ქ. პანაშვიდის დროს ყველა მაღაზიები, კანტორები და სადგომები აღნიშნულ სახლებისა დაიკეტება.

(1—1358—1)

პარასკევს, 24 თიბათვეს, **ყვირილის წმ. ნინოს ეკლესიაში** გარდახდილი იქნება განსვენებულ

## დეკანოზ დავით ღამბაშიძის

გარდაცვალების ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და პატივისმცემელთ განსვენებულის ქვრივი, შვილები და რძლები.

(2—682—2)

**საქართველოს ისტორიით და ეთნოგრაფიით საზოგადოების** გამგეობა ღრმეს მწუხარებას აცხადებს თავის საუკეთესო წევრის

## დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის

გარდაცვალების გამო უმორჩილესად სთხოვს თავის წევრთ დაესწრონ მის სულის მოსახსენებლად პანაშვიდს, რომელიც გარდახდილ იქნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დღეს, პარასკევს, საღამოს 7 საათზე.

(1—1362—1)

**ტფილისის წვრილ ვაჭართა პროფესიული საზოგადოება** ღრმა მწუხარებით უცხადებს ტფილისის ვაჭრებს და საზოგადოებას, ჩვენის ძვირფასის ვაჭარ-მრეწველის, ქველ-მოქმედის და საზოგადო მოღვაწის

## დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, პარასკევს 24 თიბათვეს, საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის წმ გიორგის ეკლესიაში. გამოსვენება მოხდება კვირას 26 თიბათვეს, სერგეევის ქ. საკ. სახლიდან სიონის ტაძარში; წირვის შემდეგ წაასვენებენ დიდუბის ეკლესიაში, სადაც დაკრძალვენ.

(1—12—1)

**ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრა-კერვის სკოლის კომიტეტი** ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ დღეს, 24 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ქაშვეთის ეკლესიაში გარდახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულ

## დავით ზაქ. სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად.



## შპალიერი

**ძმ. ტარნოპოლთა**

**ქ ა რ ხ ნ ი ს ა**

**ტფილისის განყოფილება**

იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355. საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც **ქარხნის ფასებში იყიდება,** 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა ჰდიდეს ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—31)

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.**

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

**დგვთიანი რ. ს.**—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და აბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

**მზარეულოვი მ. ი.**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**მიქელაძე შ. ა.**—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

**ორემბოვსკი ნ. ს.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. **დროებით წასულია.**

**სობოლევსკი ნ. ვ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**სულაგოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შიდაგათ. საფასურით. (წ.—1089—495)

**საბურთალოზე** მშვენიერ ადგილას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის. (წ.—1147—76)

## „ახალი კლუბი“

ოფიციალურად გაიხსნება შაბათს, 2 ივლისს, 1911 წ. ამ დღის პროგრამა ცალკე გამოცხადდება; გახსნამდე კლუბის მოქმედება დაიწყება 21 ივნისიდ 6, მხოლოდ წევრთათვის და სტუმართათვის. სტუმართა კლუბში შესავლელი ფასი ღირს კაცებისთვის 50 კაპ., ქალებისათვის და სტუდენტთათვის 25 არის სეზონის ბილეთებიც. (5—1347—2)

## ვაგზლის პერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 595.

**ე. ხ. გამყრელიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

**მ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ვ. ხ. ხტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

**შ. ა. მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი** — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. მ. ხოზოლევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რიგისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606"-ით.**

(ტ.—1090—92)

## სურამში
კბილის ექიმი
## ნინო რცხილაძე
მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ჯაპაშვილისა.

## ექიმი ი. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 6—82


## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

არქიელ ვიტალის არც ანტონი ვოლინელი ჩამორჩა დასავლეთ გუბერნიებში ერობის შემოღების განმტკიცებასა და გაყვანაში. ჩან თურმე მოწოდებით მიჰმართა თავის „სამღვდელოებას და სამრევლოს" და აბრთხილებს „რევოლუციონერთა აგიტაციისა და გავლენისაგან". ასეთ მუყაითობისათვის არქიელმა ამ დღეებში მიიღო პ. ა. სტოლიპინის წერილი:

„თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, მოწყალეო მღვდელ მთავარო! ჩემს სასიამოვნო მოვალეობად ვრაცხ გამოგიცხადოთ თქვენ გულითადი ჩემი მადლობა იმ საგულისხმო სწავლებისათვის და ერობის რეფორმების მნიშვნელობის სწორედ განმარტებისათვის, რომლითაც თქვენი განკარგულებით უნდა მიჰმართონ ხოლმე გლეხობას პარაკლისებზე საერობო ხმოსანთა არჩევის დროს.

ვანდობ რა ჩემს თავს თქვენს ლოცვებსა და ვითხოვ რა თქვენს ლოცვაკურთხევას, უღრმესი პატივისცემით დავშთები თქვენი უსამღვდელოესობის უმორჩილესი მონა პ. სტოლიპინი".

## სამგლოვიარო დეპეშები

დ. ზ. სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო რედაქციამ მიიღო დეპეშები შემდეგ პირთა და დაწესებულებათაგან: 1) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბაქოს განყოფილებისაგან, 2) ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობისაგან, 3) ალექსი ჭიჭინაძესაგან და 4) სამ. ცომაიასაგან. 5) **სათათბიროს დეპუტატი კარლო ჩხეიძისაგან**, 6) მეტეხის ციხეში მყოფ ინტელიგენტ ტუსაღთა დავალებით მღვ. მ. დევიძისაგან.

დეპეშები გარდაეცა განსვენებულის ქვრივს.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **დ. ზ. სარაჯიშვილს თავისი სახლი მამულით (სერგიევის ქუჩა, № 13), ქალაქისთვის უანდერძებია.** 21 ივნისს, დ. ზ. ქვრივი ეკატერინე ივანეს ასულს და გარდაცვალებულის ნების აღმასრულებელთ („დუშეპრიკაშჩიკი") პანაშვიდის შემდეგ ქალაქის გამგეობის წევრებისათვის უთქვამთ, განსვენებულმა სურვილი გამოსთქვა, სახლი სერგიევის ქუჩაზე მოწყობილობით და მხატვრული საგნებით გადავიდეს ქალაქის ხელშიო. ხატისოვმა ქალაქის მხრით მადლობა გადაუხადა განსვენებულის ქვრივს.

✦ **ქალაქის საბჭოს დარბაზში** დღეს, 24 ივნისს, შუადღის 2 საათზე გარდახდილ იქნება პანაშვიდი დ. ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად, საღამოს 6 საათზე კი ქვაშვეთის ეკლესიაში გარდახდილ იქნება პანაშვიდი ყველა ქართულ საზოგადო დაწესებულებათა მიერ, რომელთა წარმომადგენელნიც შედიან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან შემდგარ კომიტეტში.

✦ **ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრა-კერვის სკოლის კომიტეტმა** დაადგინა: დაესწროს დღეს პანაშვიდს, აგრეთვე დასაფლავებას, განსვენებულის კუბო გვირგვინით შეამკოს მოწაფეთა თანადასწრებით და თავიანთ სკოლაში განსვენებულის სახელობის სტიპენდია დაარსოს.

✦ **ანდერძის დამტკიცება.** ტფ. ოლქის სასამართლომ დაამტკიცა ანდერძი, რომლითაც განსვენებულმა პ. ი. შალიკოვმა 50,000 მანეთი ტფილისის უნივერსიტეტისთვის ხოლო 25,000 მ. სხვა საქველმოქმედო საქმეებისთვის დასტოვა.

✦ **ფილოქსერასთან საბრძოლველად** გუშინ კახეთს გაემგზავრა ორი პარტია ე. ო. იოსელიანისა და ნ. კ. მაქარაშვილის ხელმძღვანელობით.

✦ **ტფ. ბოტანიკურ ბაღის დირექციამ** ამიერ-კავკასიის ხარჯის ამკრებ ინსპექტორებს, სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა ინსტრუქტორ-სპეციალისტებს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ბ-ნს რუდოლფს და სხვათ დაუგზავნა ფურცლები, სადაც დაწვრილებით ჩამოთვლილია დარიგებანი მცენარეების ავადმყოფობასთან ბრძოლის შესახებ.

✦ **ავტომობილის მსხვერპლი.** 19 ივნისს მიხეილის ქუჩაზე ავტომობილმა № 5 უცნობს ქალს გადაუარა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც 20 ივნისს გარდაიცვალა.

✦ **წყალში დამხრჩვალი.** 22 ივნისს მუხრანის ხიდის მახლობლად მტკვარში იპოვეს სოფ. დიღმის მცხოვრები ბაგრატა ისაკის სეთოფჩიშვილის გვამი. გამოირკვა, რომ ამავე დღეს თოფჩიშვილი (11 წლისა) დიღმის მახლობლად მტკვარში ბანაობდა და დაიხრჩო.

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** საიმპერატორო სასახლის სამინისტროს საბჭოს წევრმა ვ. ა. პოგოჟევმა ა. ი. ხატისოვს სთხოვა, გამოუგზავნე ყველა ის მასალა, რომელიც კავკასიის უნივერსიტეტს შეეხება.

✦ **სანიტარულ აღმასრულებელმა** კომისიამ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა, სთხოვოს გუბერნატორს, დააჩქაროს ახალი სავალდებულო სანიტარულ დადგენილებათა გამოცემა, რომლითაც სანიტარულ წესების დამრღვევნი ადმინისტრატიულის წესით უნდა დაისაჯონ.

✦ **კოოპერატიული საზოგადოება.** ტფილისში არსდება ახალი კოოპერატიული საზოგადოება, რომელსაც მიზნად ექნება მცხოვრებთ იაფად მიაწოდოს ახალი და რიგიანი ხორცი. საწევრო ფული 5 მანეთია. საზოგადოება მოქმედებას მაშინ დაიწყებს, როდესაც 2000 წევრი მოგროვდება.

✦ **კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტს** ხშირად სთხოვენ ხოლმე პროვინციიდან, რათა ცნობები მიაწოდონ კალათების წნის გაუმჯობესების შესახებ. ამის გამო კავკასიის მიწადმოქმედ და მიწად მომწყობ მთავარ გამგის რწმუნებულმა მიმართა სასოფლო-საეკონომიო და სასოფლო სამეურნეო სტატისტიკის განყოფილებას და სთხოვა: საჭიროების მიხედვით გააშენოს მუშტაიდის ბაღში ძეწნისა და ჩალის (ჭილა) სანერგე და დაარსოს სპეციალისტ ინსტრუქტორის თანამდებობა. დაწვრილებით ცნობებს შემდეგ მოვათავსებთ.

### წვრილი ამბები

✦ 22 ივნისს თავის მოკვლის განზრახვით თავი მოიწამლა სარა იოსების ასულმა იაკოდინსკისამ, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 22 ივნისს ტფილისში შეიპყრეს 10 უპასპორტო.

### სასწავლებლებში

✦ ვერის ოთხ-კლასიანი სავაჟო პროგიმნაზია მომავალ სამოსწავლო წლიდან ექვს-კლასიანად იქნება გადაკეთებული.

### რკინის გზაზე

✦ **სადგურ სამტრედიაში**, 21 ივნისს, ღამის 3 საათზე მატარებლების ვარჯიშობის დროს, ორთქლმავალის ქვეშ მოჰყვა 258 სოხუმის პოლკის სათადარიგო ჯარის კაცი ალექსი ანდრეევი, რომელიც ბორბლებმა შუაზე გადასრისა.

✦ **სადგურ შორაპანში** ვაგონების გადაბმის დროს ვაგონების შემაერთებელს ილია ცერცვაძეს გაუფრთხილებლობის გამო მძიმედ დაუშავდა მარჯვენა გვერდი.

### ქუთაისი

✦ ქალაქის საბჭოს დაუდგენია, რომ იმ მოიჯარადრეთ, რომელნიც ახალ საჯარო ვაჭრობის დღემდი შეიტანენ ქალაქის კასაში მათზე დარჩენილ საიჯარო გადასახადს და ჯარიმას, აღარ ჩამოერთვათ იჯარით აღებული ადგილები.

✦ მე-3 და მე-4 რიგის ვაჭრებსა და მოხელეებს თხოვნა შეუტანიათ ქალაქის გამგეობაში, რომ მთავრობის მიერ დამტკიცებული სავალდებულო დადგენილება სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში ნორმალური დასვენების შესახებ შესწორებულ იქმნეს, რადგან ამ დადგენილების ზოგიერთი მუხლის შესრულება ყოვლად შეუძლებელიაო.

✦ ქალაქის საბჭოს ზაფხულის უკანასკნელი სხდომა დანიშნულია 27 ივნისისთვის. „კოლხიდა".

### ხონი

✦ აბრეშუმის ჭიას დღემდე კარგი ამინდი უდგა. დღეიდან კი აცივდა და მოიღრუბლა. ასეთი ამინდი მეაბრეშუმეობას ძრიელ ავნებს.

✦ 5 ივნისს მოხდა წლიური კრება წ. კ. საზოგადოების ხონის განყოფილებისა.

ლ. ნათაძის რეფერატი ხალხის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა.

### თელავი

✦ **თელავი.** 21 ივნისს გათავდა მასწავლებელთა კურსები და კურსისტები წავიდ-წამოვიდნენ.

ამ კურსებზე განზრახული იყო ლექციები წაეკითხათ აგრონომიაზე, მაგრამ ლექტორი აღარ მოვიდა ტფილისიდამ.

### დუშეთი

✦ 18 ივნისს, საღამოს 5 საათზე, დუშეთს ეწვია ტფილისის გუბერნატორი პ. გ. ჩერნიავსკი, რომელსაც თან ახლდნენ საგუბერნიო ექიმი ტ. ს. ქიქოძე, საგუბერნიო საგლეხო საკრებულოს წევრი მ. ი. მისენკო და კანცელარიის გამგე ე. კ. როდზევიჩი. ქალაქის გამგეობის შენობის წინ მას მიეგებნენ ქალაქის მოურავი ბაგრატოვი და ქალაქის რწმუნებულები, რომელთაც პურ-მარილი მიართვეს. გუბერნატორმა რწმუნებულთა და აქაურ სანიტარო კომისიის თანხლებით დაათვალიერა ქალაქი; მან რამდენსამე ალაგას აღმოაჩინა უწესრიგობა და სავალდებულო დადგენილებების დარღვევა. იქვე მყოფ მაზრის უფროსს უბრძანა შესაფერ ოქმის შედგენა, რათა დამნაშავენი დაისაჯათ. შემდეგ დაათვალიერა წყალსადენი მილები და ქალაქის სატუსაღო. საღამოს 7 საათზე ბ. ჩერნიავსკი ავტომობილით მლეთს გაემგზავრა, სადაც ღამე გაათია და კვირას ტფილისაკენ გამართა.

**შეცდომის გასწორება.** დ. ზ. სარაჯიშვილის მუშათა სიაში, რომელნიც გუშინდელ ნომერში მწუხარებას აცხადებდნენ, გამოტოვებულია ერთი მუშის გვარი, რადგანაც სომხურად იყო მოწერილი და ვერ გავარჩიეთ—იგი ყოფილა **არაქელ ხტეფანოვი.**

## საყურადღებოდ
**იმ რწმუნებულთა, რომელნიც უნდა დაესწრნენ განსვენებულ**
## დ. ს. სარაჯიშვილის
**დაკრძალვას.**

ჩვენ მივიღეთ მონდობილება ორის პროვინციის საზოგადო დაწესებულებათაგან, რომელნიც გვთხოვენ დავესწროთ, როგორც მათი წარმომადგენელი განსვენებულის სარაჯიშვილის დასაფლავებას, ამასთანავე ფულსაც გვზავნიან განსვენებულის კუბოს გვირგვინის შესამკობად.

რომ არც კი შევეხოთ უმიზნობას საზოგადოდ ძვირფასს გვირგვინზედ ფულების ხარჯვისას, კარგად ვუწყით, რაც გინდა ძვირფასი იყოს ჩვენ მიერ მიძღვნილი გვირგვინი, ამით ვერავის გავაკვირვებთ და ვამებთ, განსაკუთრებით განსვენებულის უგრძნობ გვამს, ამიტომაც უმჯობესი იქნება გვირგვინებზე დასახარჯავად განზრახული თანხა აზრიანად და მეტის ნაყოფიერებით მოვიხმაროთ: იგი გადავცეთ ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგადოების მთავარ გამგეობას სახალხო სკოლებისათვის, ან ბიბლიოთეკა-სამკითხველოებზე მოსახმარებლად. ამას, ვფიქრობთ, არც ჩვენი რწმუნებულნი დაგვიწუნებენ და განსვენებულის სულ[illegible] მეტს ნეტარებას განიცდის.

კარგი იქმნება დასაფლავებაზე დასასწრებლად ვამოგზავნილნი რწმუნებულნი შევიკრიბოთ დღეს, საღამოს 6—8 საათისთვის, ქ. შ. წ. კ. საზ. კანცელარიაში ამ საყურადღებო საკითხის გადასაწყვეტად.

**გ. ახალციხელი.**

## ქუთაისის ვითარება

ჯერაც არ გათავებულა ლაპარაკი გიმნაზიის მასწავლებელ იურკევსკის ინციდენტის შესახებ და არც საკვირველია. ქალაქში გავრცელებულ ხმებს რომ დაუგდოთ ყური, თვით ბ-ნი იურკევსკი განზე დარჩება, იქნება წარმატებაც მიიღოს და სამაგიეროდ დაისჯებიან მოსწავლენი, რომელნიც ისეთი გულუბრყვილონი აღმოჩნდნენ, არაფერი დამალეს და აღიარეს, რომ ერთმანეთ შორის ფულსა ჰკრეფავდნენ რუსული ენის მასწავლებლის გულის მოსაგებად და სამაგიეროდ გაეგოთ, რა თემაზე აწერინებდნენ გამოცდის დროს.

მართალი რომ სთქვას კაცმა, ასეთი საქციელი მოსწავლეებისა მოსაწონი არ არის, წინააღმდეგ გმობის ღირსია, მაგრამ ისინი სამართლიანად ამბობენ თურმე, ჩვენი რა ბრალია თუ მასწავლებელი არც თითონ აკეთებს რასმეს წლის განმავლობაში და არც ჩვენ გვაკეთებინებს, ჩვენ რად უნდა გადავიხადოთ სასჯელი ისეთ დანაშაულში, რომელსაც ყველა ჩადიოდნენ და ჩაიდენდნენ. თემის მოპოვებაში ფულის დახარჯვა ტრადიციით გადმოდის უფროსიდან უმცროსზე. აბა კითხეთ ეხლანდელ ჩვენ მასწავლებლებს, ინსპექტორ-დირექტორებს, ფული არ გაუღიათ თემის მოსაპოვებლად? რასაკვირველია გაუღიათ.

ვთქვათ,—განაგრძობენ ისინი,—ქრთამით თემის მოპოვება დასაგმობია, ამის უარს არც ჩვენ ვამბობთ, მაგრამ რად მოხდა, რომ ფული იკრიბებოდა ერთი კაცის გულის მოსაგებად და სხვა მის კოლეგებზე არავინ ფიქრობდა? რატომ ამას არ ჩაუფიქრდებიან, როგორც ჩვენი მთავრობა ისე მშობლებიც და რატომ არ უნდათ ასეთი მასწავლებელი თუ ჩვენ არა სხვას მაინც მოაშორონ თავიდან? ასე მსჯელობს ახალ-გაზდობა, რომელიც მკაცრი სასჯელის მოლოდინშია და, კაცმა მართალი რომ სთქვას, ამ მსჯელობაში ბევრი რამ საგულისხმო და დასაფიქრებელია.

მაინც რა სასჯელი მოელის ჩვენ შვილებს?—გაიძახიან დაფიქრებით მშობლები და პასუხის მაგივრად ორ-აზროვან ღიმილს იღებენ იმ პირთაგან, რომელთაც საქმის ვითარება კარგად უნდა იცოდნენ.

* *
*

ქუთაისში უკუღმა არა კეთდება. რაც უნდა წმინდა საქმე გამოაწყო და სასურველად დაამთავრო, კუდი, ყოვლად მახინჯი კუდი, რომ არ გამოაბან შეუძლებელია. დიდი ხანია თვალ-ყურს ვადევნებ ქუთაისის საზოგადოებრივ ცხოვრებას და კრძოდ კრებებს. მტერიც კი ვერ იტყვის უარსა, რომ წრეულს ბანკის რწმუნე-

# ბაქოს ნავთის მრეწველობა

2

ბაქოს გაბატონება მსოფლიოში.—ირაციონალური პოლიტიკა.—შედეგი ამ პოლიტიკისა.—„Standard"-ის გაბატონება.—ბაქოს ნავთის „მეფენი"-ს ბრძოლა.

როგორც წინა წერილში აღვნუსხეთ, ბაქოს მრეწველობის განვითარება ბაქო-ბათუმის რკინის გზის გახსნით იწყება. ამიერ-კავკასიის რკინის გზით და ბათუმის მშვენიერ ნავთ-სადგურით—ბაქოს ნავთის ყოველივე ნაწარმოები ადვილად და სარგებლიანად გადის საზღვარ-გარეთის ბაზარზე და იქ პირველ ალაგს თავისუფლად იჭერს. საზღვარ-გარეთის ბაზარზე ბაქოს მრეწველობას უმთავრესად გაჰქონდა და დღესაც გააქვს პირველ ხარისხის ნავთი. ამ ხარისხის საქონელს ევროპა იმ ფასებში ვერსად შოულობდა, რა ფასადაც აწვდიდნენ მას ბაქოს მრეწველები. ცხადია, ასეთ უპირატესობის დროს, ბაქოს მრეწველობა გაბატონდა მსოფლიოს ბაზარზე და ნიუ-იორკისა და ლონდონის „პოსტავჩიკი" გახდა: ვერც შეერთებულ შტატების მრეწველობა, ვერც რუმინიის, ავსტრიის და სხ. ნავთი ბაქოს ვერას აკლებდა. პირიქით, ბაქოს ნავთი თანდათან ახალ-ახალ პოზიციებს იჭერდა და არა თუ ნავთის მწარმოებელ ქვეყნებს უჭირვებდა საქმეს, არამედ სხვა მინერალურ სათბობის წარმოების დარგებსაც ემუქრებოდა თავის ნაწარმოებით. განა მკითხველებს არ მოეხსენება თუნდ ბაქოელთა და რუსეთის სამხრეთ ქვა-ნახშირის მწარმოებელთა შორის გაღვივებული ანტაგონიზმი, შური და მტრობა, რომელიც ერთხელაც არ ცხრება? ეს შური მხოლოდ თვით-არსებობის დაცვისაკენაა მიმართული! ქვანახშირის მრეწველთ ნავთის მეტოქეობისა ეშინიანთ, ბაქოელ მრეწველთ ქვა-ნახშირისა—და აი ამ შიშსა და ბრძოლაში ხშირად ბაქოს მრეწველთ ისინი სასოწარკვეთილებამდე მიუყვანიათ...

ბაქო მთელ მსოფლიოში იყო გაბატონებული, ბაქოს ნავთის მრეწველთ ფაქტიურად დაერქვა „ნავთის მეფენი". ბაქოს ნავთის ყოველწლიური ექსპორტი, თავის დღესასწაულის უკანასკნელ ხანებში (1903—1904 წ.წ.), 400—500 მილიონ ფუთამდე აღწევდა.

რაკი ბაქოს ნავთის ნაწარმოებს ფრიად ფართე ასპარეზი ჰქონდა გახსნილი, მრეწველნი თავის მხრით შეუწყვეტელ ურთ-ერთ ბრძოლასა და მეტოქეობაში იყვნენ წარმოების გასაუმჯობესებლად, გასადიდებლად და ახალ ნავთიან მიწების ასაღებად. ამ გარემოებით ბაქოს ნავთის მრეწველობამ მსხვილი კაპიტალისტური წარმოების ხასიათი მიიღო, თანდათან მოხდა მსხვილ კაპიტალის კონცენტრაცია და შრომის უმწვერვალესი ექსპლოატაცია. კაპიტალი შრომისა და მხმარებელთა ხარჯზე ბუქნას აკეთებდა, მრეწველნი თავიანთ ბედით სრული კმაყოფილნი იყვნენ, როდესაც მათს სამეფოში ცა მოიღრუბლა და ეთერმა მრისხანე სახე მიიღო.

სრული ჭეშმარიტებაა, როდესაც მეცნიერნი ამბობენ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება სხვადასხვა ფორმებისა და მოძრაობის განხორციელებააო. თუ ეს შეეფერება მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას, მით უფრო შეეფერება ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკის მიმართულებას. ვინც თანამედროვე ეკონომიურ პოლიტიკას გასცნობია, მისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ეკონომიური სიბეცე, რომელიც გამოსჭვივის ამ ეკონომიურ პოლიტიკაში. ეკონომიურ მეცნიერებაში ადამ სმიტიდანვე დამკვიდრებულია ის დებულება, რომ საზოგადოებათა ცხოვრებაში მრეწველობის განვითარებას არც ისეთი მნიშვნელობა აქვს, როგორსაც მერკანტელისტები ანიჭებდნენ და არც ისეთი უმნიშვნელოა—როგორც ფიზიოკრატების სკოლას ეგონა. მთავრობა ვერც ერთ ამ აზრთაგანს ვერ შესთვისებია.

მისთვის ბაქოს ნავთის მრეწველობას პირველ-ყოვლისა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ფინანსიურის მხრით და ამიტომ ის ფისკალურ მოტივებს უნდა ემორჩილებოდეს. მეტი გადასახადი შევაწეროთ ნავთის მრეწველთა და ნავთის მხმარებელ საზოგადოებას,—აი ის ძირითადი საფუძველი, რომელზედაც შენდება ბაქოს მრეწველობასთან დამოკიდებული მთავრობის სხვადასხვა ეკონომიური ზომა-მიმართულება. ყოველ მხრით შემოვესიოთ მრეწველობას და გამოვწოვოთ უნოყიერესი წვენი ბაქოს წარმოებასო—აი მოტივი, რომლითაც სახელმწიფო საზრდოობს ტარიფის კითხვის გადაჭრისა და მოწესრიგების დროს, როდესაც საქმე რკინის გზის ექსპლოატაციაზე მიდგება და ეხება მაზუთის ნაყოფიერებათა გადატან-გადმოტანას, ექსპორტს თუ იმპორტს. გადავსცეთ ნავთიანი მიწა-ადგილები მსხვილ კაპიტალისტ—მრეწველთ, რომ მათი ნამუშევარიდან ავიღოთ ზედმეტი ნაწილი საერთო შემოსავლისა,—აი მთავრობის ინტერესი მიწების იჯარით გაცემის დროს. ხელი შეუწყოთ ნავთის ნაწარმოებთა გასაღებას (რეალიზაციას), რომ წარმოუდგენელ დიდ სააქციზო გადასახადებით გავამდიდროთ სახელმწიფო ხაზინა—აი კიდევ სხვა მხრით მთავრობის დამოკიდებულება ნავთის წარმოებასთან.

აღნუსხული ინტერესები სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოში ამგვარადვეა უმთავრესად დანაწილებული და მას ხაგანგებო მართველები იცავენ და ანვითარებენ. გზათა სამინისტრო—რკინის გზის სატარიფო საქმის მასულდგმულებელია, სახელმწიფო ქონებათა სამმართველო—სახელმწიფო მიწა-ადგილების იჯარით გაცემისა და სახელმწიფო კონტროლი ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით—წმინდა ფინანსიურ და ფისკალურ ინტერესებისა.

როგორცა ჰხედავთ, მთავრობას მხოლოდ შემოსავლის ინტერესები ასულდგმულებს და ის საანბანო ჭეშმარიტება ვერც კი შეუთვისებია, რომ ამგვარ ირაციონალურ პოლიტიკით სახელმწიფო ხაზინა დიდად ზარალობს და თანდათან ნაკლები შემოსავალი აქვს.

წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობა მთავრობის ზომებისა ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭოს წარმომადგენელთ არა ერთხელ დაახასიათეს—როგორც პრესის (განსაკუთრებით „Невтяное дѣло"-თი), ისე პროპაგანდა-აგიტაციით როგორც კერძო, ისე საზოგადო კრებებზე, მაგრამ მეტის-მეტად ცალმხრივად, მეტად სუსტად, ვინაიდან თითქმის ყოველი წარმომადგენელი ბაქოს მრეწველთა საბჭოსი იმავე ირაციონალურ ეკონომიურ პოლიტიკის პრინციპებს ეყრდნობა, რომლის აღიარებით ყოველ წუთს ფეხს იტეხს უმაღლესი მოხელე სრულიად რუსეთის სახელმწიფოსი. რა თქმა უნდა, მრეწველთა ლაღადისის ამ მხარეს ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ, ამას სუსტ მხარედა ვთვლით, მაგრამ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გატიტვლებული სინამდვილე, რომ ბაქოს მრეწველობამ—რომელმაც თავის აპოგეას 1903—1904 წელში მიაღწია, 1905 წლიდან ნელის ნაბიჯით უკან იწევს და 1908—1909 წ. წ. საში-

ულთა კრებები არა ჩვეულებრივი ამწყობრით დაიწყო და გათავდა. მას, ვიმეორებ, აქამდის უარს არავინა ყოფდა და ყველა აღიარებდა, რომ ბ-მა გიორგი ზდანოვიჩმა არა ჩვეულებრივი ტაქტი და მიუდგომლობა გამოიჩინა. ამის მიზეზით კრებებს საქმიანობის ელფერი დაეტყო და ყვირილისა და ჟურ ზაურის მაგივრად, რწმუნებულნი დინჯად ბჭობდნენ და არკვევდნენ ბანკის საქმეებს.

არჩევნებმა, როგორც მოგეხსენებათ, გამარჯვება ოპოზიციას მიანიჭა; ამ გარემოებამ, რასაკვირველია, გამგეობის მომხრეთა უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ კრების დადგენილებათა უკანონობაზე არავინ ფიქრობდა და არც ლაპარაკობდა. ასე მიდიოდა საქმე, ვიდრე დამფასებელი კომისიის წევრების არჩევანი არ მოხდა და თ-დი ნ. დგებუაძე ამ კომისიის გარეშე არ დარჩა. დაიქცა ქვეყანა, ჩამოწვა ცა—თ-დი დგებუაძე ხელმეხუთედ არ აირჩიეს დამფასებლად და შეიქნა განგაში. საქმე პროტესტით დაიწყო—„არჩევნები უკანონოაო", განაცხადა რწმუნებულთა ერთმა ჯგუფმა.—უკანონობა არაფერი მომხდარა-რაო,—მიუგო პასუხად გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულ კრების უმრავლესობამ.

„მაშ რა-კი მაგრეა საქმე, ამბობენ თურმე ეხლა გატაცებული კოკინიისტები,—გიჩვენებთ სეირს. ჩვენ მარტო კოკინიას დატოვებას ვითხოვდით დამფასებელ კომისიაში და რა-კი ჯიუტობთ, ეხლა გიჩვენებთ სეირს. მოვიწვევთ რწმუნებულთა არა ჩვეულებრივ კრებას და არა თუ თქვენს არჩევანს, მთელი კრების გადაწყვეტილებას გავაბათილებინებთ.

დარწმუნებული ვარ, რომ აღმოჩნდებიან ისეთი რწმუნებულები, რომელნიც თხოვნაზე ხელს მოუწერენ პროტესტანტებს საგანგებო კრების მოწვევის შესახებ და შეიქნება უაზრო კინკლაობა, აი ის კუდი რომელზედაც ზევით მქონდა ლაპარაკი. მთელი აყალ-მაყალი იმაზეა ატეხილი, რომ ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის უმრავლესობამ გაბედა და თავისი აზრი გამოსთქვა თავისუფლად და ამისთვის მზად არიან ზოგიერთსი ჯვარს აცვან ისინი.

Pique.

# საუღელტეხილო გზა

სახელმწიფო სათათბირომ არ დაამტკიცა კავკასიონის უღელტეხილზე კავკავიდან ტფილისში ორთქლის მატარებლის რკინის ხზის პროექტი. ახლა კავკავის ქალაქის საბჭომ და ტფილისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულომ გადასწყვიტეს შუამდგომლობა აღძრან რომ განახორციელონ პროექტი ელექტრონის რკინის გზის გაყვანისა. ამავე შუამდგომლობით მიუმართავს ნამესტნიკისათვის თერგის ოლქის უფროსსაც.

ეს საკითხი დიდი ყურადღების ღირსიაო,—ამბობს „გოლოს მოსკვი". აქ არა მარტო ჩვენი განაპირა კუთხის მდიდარ კავკასიის ინტერესებია წამოყენებული, არამედ ამ გზას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვსო.

ფინანსიურის მხრივაც ფრიად საყურადღებოა ეს საქმე, რადგანაც ელექტრონის მისაღებად შეიძლება წყლის აუარებელი ძალის ამოძრავება. ამ გზაზე საჭიროებისათანავე უნდა მოეწყოს ჯარის გადაყვანა. თუმცა ამის წყალობით მშვიდობიან დროს გზას ბევრი უსარგებლო საგზო ინვენტარი მოუგროვდება, მაგრამ მას შეუძლიან იგი სხვა გზებზე მოიხმაროს. ამასთანავე ძლიერ შეღავათიან ფასად შეუძლიან ელექტრონი ჰყიდოს.

ეხლა ნებადართული გზა სევასტოპოლსა და იალტის შუა უცხო ქვეყნის კაპიტალისტების დახმარებით კეთდება.

ნუ თუ ამ გზისთვის მაინც არ აღმოჩნდებიან რუსის კაპიტალისტები, რომელთაც გაეგებოდეთ ამ გზის დიადი მნიშვნელობაო,—ჰკითხულობს გაზეთი: ერთს ინგლისელს სტიუარტს აღუძრავს კიდეც მოლაპარაკება მინისტრთა საბჭოსთან კავკასიაში გიდრო-ელექტრონულ სადგურების გამართვაზე, მაგრამ კავკასიის უღელტეხილზე ელექტრონის გზის გამყვანთ უთხოვნიათ არ დაენებებინათ სტიუარტისთვის ეს საქმე, რადგანაც მას თურმე იმათის მოსაზრებით უსარგებლოა თავის პროექტში. „ერთი სიტყვით, კავკასია ალსავსეა ბრწყინვალე იმედებით"-ო ათავებს გაზეთი.

# კახელ მევენახეთა ამხ. „კახეთის" წევრთა კრება თელავში.

კრება 18 ივნისს დაიწყო. დაესწრო 30 წევრი, რაც ძლიერ მცირე რიცხვად უნდა ჩაითვალოს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ანგარიშში წევრთა რიცხვი 164 კაცია ნაჩვენები. გარეშენიც ცოტანი დაესწრნენ.

„კახეთის" ამხანაგობას და მის საქმეების წესიერ მსვლელობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინის ბაზრისათვის და საერთოდ მთელი კახეთისათვის. ამის და მიუხედავად კრება საქმის შესაფერისად ვერ მიმდინარეობს, ზოგჯერ კომიკურ სახეს იღებს და უსაფუძვლოდ კამათს იწვევს.

თავმჯდომარედ ამოირჩიეს **დეკანოზი ი. შიუკაშვილი**, მდივნად **გ. მარგველიშვილი**. საკითხებს უხსნიან და უმარტავენ გამგე—დირექტორი **თავ. ლ. ვაჩნაძე** და გამგ. თავმჯდომარე **თავ. ხ. ვახვახიშვილი**. კამათში მონაწილეობას იღებენ **თავ. დ. და ითარ. ჯორჯაძეები, თავ. ნ. აბაშიძე, თავ. ბებლიშვილი** და სხვანი.

**თავ. ლ. ვაჩნაძე** კითხულობს მოხსენებას და მუხლ-მუხლად განმარტავს ანგარიშს, რომლის გათავების შემდეგ თვით ანგარიშს იხილავენ.

საანგარიშო წელს 1 ოქტ. 1909 წ. 1 ოქტ. 1910 წ. ტფილ. მთავარ სარდაფში ყოფილა 55483 ვედრო ღვინო 170649 მანეთისა, განყ. 20378 ვედრო 92926 მან. გაყიდულა ტფ. 45082 ვ. 152,919 მან. განყოფ. 13631 ვ.—72583 მან.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ამხანაგობას კახეთის ცხოვრებისათვის, ეს იქიდანაცა სჩანს, რომ ეს ამოდენა ღვინო. „კახეთია" რომ არ არსებობდეს სულ ჩარჩ-ვაჭრების ხელში უნდა გადასულიყო და მემამულეს მასი ღირებულების ნახევარიც ძლივს მიეღო.

ეს ანგარიში უკვე იყო დაბეჭდილი „სახ. გაზეთში", ამისათვის აღარ გავიმეორებ.

ანგარიშის მეათე მუხლი, წევრების ფულის ანგარიში ხანგრძლივ კამათს იწვევს. 1 ოქტომბ. 1910 წ. წევრებზე ითვლება 121,844 მან. მათ კი ერგებათ 30,861 მან.

ზედმეტად აღებულ ფულის საკითხი მეტად დაავადებული მუწუკია კახეთის ამხანაგობაში, ამ ფულმა დააქვეითა იგი, წელს და ყოველ წელს ამაზე აქვთ ლაპარაკი, თუ რა უშველონ, როგორ აიღონ წევრთაგან და საბოლოოდ ვერაფერი გადაუწყვეტიათ. ახლა ამ ფულს ყოველ წელს 8 პროც. ემატება, სარგებელს სარგებელი ემატება და მისი ჯამი უფრო დიდდება.

წლევანდელ კრებაზე ერთნი თხოულობდნენ, რომ ზედ-მეტად მიღებულ ფულს სარგებელი აღარ მიჰმატებოდა და მისი ჯამის ნაწილი გამგეობას გამოერიცხა ახლად მიღებულ ღვინის საფასურიდან, მხოლოდ არა უმეტეს 15%-სა და ეს საკითხი ამავე კრებაზე გადაეწყვიტათ.

გამგეობამ მეორე წინადადება წამოაყენა, რომ ზედ-მეტ მიღებულ ფულისთვის მიემატებინათ, როგორც აქამდე, მხოლოდ წევრთაგან აეღოთ ჯერ-ჯერობით თავნი ვალის ნაწილი და %% ცალკე ეწარმოებინათ, რომლის გამორთმევის საკითხის გადაწყვეტა მიენდოს გამგეობის და სარევიზიო კომისიის შეერთებულ სხდომას, რომელიც იხელმძღვანელებდა ამ კრების მიცემულ დირექტივებით.

კრებამ ეს რეზოლიუცია მიიღო.

საღამოს კრებაზე ანგარიში დაამტკიცეს მცირეოდენი შენიშვნით, რომლითაც შემდეგ უნდა იხელმძღვანელოს გამგეობამ.

თელავის ბიუროზე დახარჯულა 3119 მან. დადგენილებისამებრ ეს გაუუქმებიათ. სხვათა შორის **დაუთხოვნიათ ღვინის მიმღები, რომელიც 19 წელიწადი ემსახურება ამხანაგობას.**

**თავ. ი. მ. ჭავჭავაძე** შეეკითხა გამგეობას, ამდენი ხნის ნამსახური უადგილოდ რად დასტოვეს და უკიდურეს შემთხვევაში სხვა ადგილას მაინც რად არ გადაიყვანეს?

ამავე დროს ყაზახაშვილის ცოლმა თხოვნა მიართო კრებას, მისი განხილვა შემდეგისთვის გადასდეს.

19 ივნის კრება 11 საათზე დაიწყო. სარევიზიო კომისიის მოხსენებას მუხლობით იხილავენ. კამათს იწვევს 4950 მან., რომელიც მთავარ გამგეობის კასაში არ აღმოჩენილა და პეტერბურგის განყოფილების დახურვა.

არეულობის და გაფიცვების დროს, როცა როგორც საერთოდ ვაჭრობა მრეწველობა, ისე „კახეთის" ვაჭრობა და კანტორაში მუშაობა სხვა და სხვა მიზეზების გამო ნორმალურად არ მიმდინარეობდა, გამგეობან სხვა და სხვა დროს მიუღია 4950 მანეთი. ეს ფული მიღებულადა სჩანს, მხოლოდ ჩაწერილი არა ყოფილა და რაში დახარჯულა ვერც ის გაუგია გამგეობას. ეს შეცდომა გამგეობას თვით აღმოუჩენია და მთელი ჯამის ანაზღაურებაც თვითვე მიუღია თავის თავზე, სარევიზიო კომისიასაც ასეთი აზრი გამოუთქვამს. მცირე კამათის შემდეგ კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო; კრება იღებს რა გამგეობის განმარტებას სავსებით კმაყოფილდება იმით და გადადის მორიგ საკითხებზე.

დაუსრულებელ ბაასს იწვევს პეტერბურგის განყოფილების დაკეტვა. სარევიზიო კომისიის აზრით იგი უნდა დაიკეტოს, რადგანაც მოგების მაგივრად ზარალს იძლევა.

**გამგე-დირ. თავ. ვაჩნაძე** ემხრობა განყოფილების დაკეტვას და პატარა სტატისტიკა მოჰყავს, რომ ამ განყოფილებას თავის არსებობიდან მხოლოდ ერთხელ—მეორე წელს—მოუცია მოგება 1200 მ. დანარჩენ დროს კი სულ ზარალით თავდება ყოველივე საანგარიშო წელი და ეს ზარალი გამოიხატება 2000—5000 მან. ასე რომ ტფილისის მთავარ სარდაფის მოგებით იფარება განყოფილების ზარალი.

**თავ. ხ. ვახვახიშვილი და დ. ჯორჯაძე** არ ეთანხმებიან მას გან. დაკეტვის მაგიერ ჩვენ უნდა ვეცადოთ ღვინის ვაჭრობა გავაფართოვოთ, ახალი ბაზარი ვუშოვოთ, მომხმარებელი შევაჩვიოთ ჩვენს ღვინოს და თუ უხეიროთაა საქმე დაყენებული, გავაუმჯობესოთ, მოვძებნოთ შესაფერისი კაცი, მოვაწესრიგოთ საქმეები და სხ.

**თავ. ნ. აბაშიძეც** წინააღმდეგია. დაკეტვის მაგიერ სჯობია ისევ იჯარით გავცეთ, მით უმეტეს მსურველები არიანო.

**თავ. ითამ ჯორჯაძეს** უკვირს, რომ ყველა განყოფილებებში ასეთი დიდი ზარალი არ არის: ღვინო თავის დროზე არ ეგზავნებათ, ზოგჯერ სულ უღვინოდ არიან, შეუფერებელ და გამოუცდელ გამყიდვებს ჰგზავნიან, საერთოდ საქმე გაუმჯობესობასა თხოულობს და არა დაკეტვას.

კრება ნაადრევადა სცნობს ამ განყოფილების დაკეტვას.

**დასწრებული.**

(შემდეგი იქნება)

# კიდევ პარნაუთელები

როგორც უკვე იყო აღნიშნული, პარნაუთელთ წარმომადგენელი ბ. ახალაია დაპატიმრეს, და აგერ ორი კვირაა ოთხ-კედელ შუა ბუზების თვლით თავისს დარდს ივიწყებს; სარჩო-საბადებელი კი ელევა. 18 თიბათვეს, ქ. სოხუმში ბატონ მინისტრს კრივოშეინს პარნაუთელთა დეპუტაცია წარუდგა და თხოვნა მიართვა. ბ. მინისტრმა დაწვრილებით გამოჰკითხა მათი მდგომარეობა, პარნაუთის დაბრუნებაზე უარი უთხრა, ხოლო—აღუთქვა სხვაგან მოგეცემათ ადგილიო. როგორც ირკვევა, მგონი, პარნაუთელთ მიეცემათ ეგრედ წოდებული ადგილი „ტიში" დალის ხეობაში, მაგრამ ამაზე პარნაუთელნი უარს ამბობენ. „ტიშის" თავ-გადასავალიც მეტის მეტად საინტერესო და ადგილობრივ ადმინისტრაციის დამახასიათებელია, და ამიტომ მოკლედ შევეხებით.

აფხაზთა გადასახლების შემდეგ—1864 წლიდან—სოფელი „ტიში" გაუქმებული და ვერნად ქცეული იყო. ვის არ შეეძლიეს, მაგრამ ხელი აღარავინ მოჰკიდა. ხოლო მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ბ. ტყის გამგემ სვანები გააბრიყვა, გადმოასახლა და იჯარით მისცა ეს სოფელი. თავის სამშობლოში უმიწაწყლობით შევიწროებულ სვანებსაც გაეხარდათ და გადმოსახლდნენ. მათმა ენერგიამ კიდევ სოფლად აქცია ნაპარტახევი „ტიში".

ეხლა კი საჭირო შეიქმნა იგი ბედნიერ მეტოქეთათვის, მით უმეტეს, რომ მათდა სასარგებლოდ სვანთა მიერ შომზადებული იყო „ტიში".

სვანებმა ნებით არ დასტოვეს თავიანთი ქოხები, მაგრამ ძალით აჰყარეს...

მას შემდეგ აგერ, ათი წელიწადია, რაც სვანები თხოვნას თხოვნაზე ჰგზავნიან, მაგრამ ამაოდ: ფული და შრომა ტყვილა ეხარჯებათ. მათი აწიოკება ისე უმაგალითოდ ეჩვენა კაცი-ჭამია ველიჩკოსაც, რომ მან თავის „კავკაზში" ცხარე წერილი უძღვნა და სხვათა შორის განაცხადა: სამოქალაქო უფლებათა ფარგალში, არ უნდა ირჩეოდეს ელინი და ებრაელიო!..

გარნა ამაოდ. „ტიში" დღესაც ცარიელია, ხოლო ბეჩავი სვანები კი კერძო მემამულეთა მიწაზე არიან დაბინავებულნი და უნუგეშოდ ჰიათრევენ თავიანთ შავ დღეებს.

აი ეხლა ამ „ტიშს" პარნაუთელთ აძლევენ, მაგრამ ეს უკანასკნელნი, ცოტა არ იყოს, უარზე არიან: ჩვენსავით დატანჯულ ხალხს ვერ შევეცილებითო. ეს გარემოება პარნაუთელთა სასახელოდ ლაღადებს, სამაგიეროდ პარნაუთელნი თხოულობენ ნასოფლარ „არლუნიას". ესეც დალის ხეობაშია, სოფელ ლათას ზემოდ.

აქ ათიოდე წლის წინედ მთავრობამ რამდენიმე მოსახლე რუსი დააბინავა, მაგრამ მთაგორიან ადგილებს ვეღარ შეეთვისნენ, და მთავრობას სთხოვეს, ბარად, იქვე მდ. კოდორას ნაპირზე დაესახლებინა, რაიცა, რა თქმა უნდა, ასრულებული იქმნა. ამრიგად, თუ ადგილობრივი მთავრობას ჰსურს პარნაუთელთა დაბინავებ, ამ ადგილს დაუთმობს და მით სამადლო საქმეს იზამს. ამას მომავალი გვიჩვენებს. 59 პარნაუთელ მოსახლეთაგან 29 მოსახლემ იმედი დაჰკარგა და მოშორდა [illegible] არე-მარეს, ხოლო 30 დღესაც ყანები აქვს იქ დათესილი, თუ კი მისი შემოსვლა და მომკა დააცალეს...

რაც შეეხება ბ. ახალაიას, ამის შესახებ ბ. მინისტრმა ბრძანა: „მისი განთავისუფლება ადგილობრივ ადმინისტრაციის საქმეაო".

რადგანაც აქ პარნაუთის აგარაკზეა ლაპარაკი, არ შემიძლიან ერთს გარემოებას არ მივაქციო ყურადღება. მეგრელების აყრის შემდეგ, ეშერელ უმიწაწყლო აფხაზებმა სთხოვეს, ჩვენ დაგვასახლეთო. ადმინისტრაცია თითქოს შეჰპირდა მათ, მაგრამ ჯერაც საბოლოოდ ვეღარ გადასწყვიტა. თუ აუცილებლად წაერთმევა მეგრელთ, იმ შემთხვევაში უფრო სამართლიანია აფხაზთ გადაეცეს ეს ადგილები, რადგანაც ბევრი მათგანის მამა პაპას აქ ჰქონდა ბინა და აქ ესახლა.

**სოხუმელი ჩაიაჩ.**

# ანგარიში

1.

„განათლების" საზოგადოებისაგან გამართულ 30 მაისს სეირნობიდან შემოვიდა: ბაღში შესასვლელი ბილეთებიდან 409 მან. 75 კ. ბაზრიდან 110 მ. 85 კ. გაყიდული ყვავილებისაგან 98 მ. 89 კ. ბუფეტიდან 107 მ. 79 კ. სხვადასხვა გასართობებიდან 148 მ. 75 კ., შემოწირულობიდან 37 მ. 30 კ. სულ 913 მან. 23 კ. დაიხარჯა: ბაღის ქირა 210 მ., მუსიკა და დუდუკი 60 მ. ნაყიდი ნივთები 24 მ. 65 კ. ბილეთები, განცხადებები, აფიშები და მისი გაკვრა 25 მ. 30 კ. ბუფეტი და ჭურჭლის ქირა 43 მ. 70 კ. ბაღის მორთვა და ყვავილები 28 მ. 20 კ. მოსამსახურენი და წვრილმანი ხარჯი 21 მ. 16 კ. სულ დანახარჯი 413 მ. 1 კ. წმინდა შემოსავალი 500 მ. 22 კ. დიდ მადლობას ვუცხადებ ყველას, ვინც ნივთებისა და ფულის შემოწირვით და სხვაფრივ დახმარებით ხელი შეგვიწყეს.

სეირნობის გამგე **ქნ. ნინა პორფირის ასული ზარათთოვისა.**

2.

**სოხუმის დრამატიული წრისა**

სოხუმში შესდგა დრამატიული წრე, რომელმაც მოიწვია ქ-ნი ელო ანდრონიკაშვილი და ბ. შალვა დადიანი, რომელთა დახმარებით და ხელმძღვანელობით 23 აპრილიდან ვიდრე 4 ივნისამდე გამართა ხუთი წარმოდგენა. წარმოდგენებში მონაწილეობას ღებულობდნენ დასახელებულ არტისტთა გარდა: ქ-ნი ელ. ბახტაძე, ე. ბახტაძე, ნ. გვაზავასი, ლ. დადიანი, კატ. ნაჭყებია, მ. პილაევა, პ. ქუთათელაძე. ბ-ნნი ვ. ალულიშვილი, დ. ბახვისპირელი, გ. ერქომაიშვილი, ვ. ეჯიბია, ი. ვადაჭკორია, ი. ზუგდიდელი, ა. თოხაძე, ი. კორტი, დ. პურაძე, ა. სანაძე, ა. ლოლუა, ს. ფრანგულიან-

---

ნელ განსაცდელში ვარდება, რომელმაც მრავალი წვრილი მრეწველნი უმოწყალოდ დაჰლუპა. ამის დამახასიათებელი სტატისტიკური ცნობები ამ ჟამად არ მომყავს, ჟურნალ-გაზეთების მეთვალყურესათვის ეს უკვე ცნობილია. დაცემულ მრეწველობის აღსადგენად სახელმწიფოს მხრივ სათანადო დახმარება ესაჭიროებოდა, კრიზისის ასატანად ზომების მიღება, მაგრამ სწორედ აქა სდუმს იგი, ეკონომიურ-ფისკალურ პოლიტიკით სულს უხუთავდა ბაქოს დაცემულ მრეწველობას და განვითარების გზაზე დასადგომ გასაქანს არ აძლევდა. შეიძლება ჩვენმა განსწავლილმა პოლიტიკო-ეკონომებმა ამ დებულებაზე გვიკიჟინოს: ეკონომიურ მოვლენაზე თანამედროვე პოლიტიკის ზედგავლენა რადა მოსატანიაო. უნდა მოგახსენოთ — ბაქოს ნავთის მრეწველობაში აღნუსხულმა პოლიტიკამ დიდი და გადამჭრელი გავლენა იქონია. ზოგიერთი ბაქოს მრეწველობის დაცემის მიზეზად ასახელებენ 1905 წლის მუშათა მოძრაობას და გაფიცვებს, საერთო რევოლიუციას და აგრეთვე თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტას. სხვანი—ბაქოს მრეწველობის დაცემის მიზეზს საერთოდ რუსეთის გაძლიერებულ ეკონომიურ კრიზისში ეძებენ. ეს უკანასკნელი აზრი სინამდვილესთან უფრო ახლოა. ვინ არ იცის, რომ 1900 წლიდან მოკიდებული ვიდრე 1910 წლამდე რუსეთში გამძვინვარებული კრიზისი იმ მმართველობითი სისტემის შედეგია, რომელსაც ბიუროკრატიულ რეჟიმს უწოდებენ. თავი და თავი ამ ჟამად სოციალ-პოლიტიკურ წეს-წყობილების მოუწესრიგებლობაა და აი რის მოგვარება იხსნის კრიზისიდან როგორც კერძოდ ბაქოს ნავთის მრეწველობას, ისე მთელ რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებას. დღეს ასეთი განმარტება თვით მსხვილ მრეწველ-ინტელიგენტთა შორის ჭეშმარიტებადაა მიჩნეული. ჰკითხეთ მოსკოვის ცნობილ მებირჟე კრესტოვნიკოვს, მის ამხანაგ-ავდაკოვს, თვით ლიბერალის ღვიძლ ძმას—გაეკონომისტებულ გურკოს, ან დაჩაჩანაკებულ B. B-ს და თუნდ ოპორტუნისტ სტრუვე-კოტლიარევსკის, ისინიც ამ აზრს ემხრობიან. ჯერ პოლიტიკა უნდა განახლდეს და მერე მრეწველობასაც გზა გაეხსნებაო, ისინიც კი ცხოვრების მწარე სინამდვილემ ამ დასკვნამდე მიიყვანა.

ამიტომ ჩვენც ვამბობთ: დღევანდელმა პოლიტიკამ ბაქოს ნავთის მრეწველობა ჩაკლა, მაშინ როდესაც მას გონივრულ ეკონომიურ პოლიტიკის წარმოებით ბაქოს წარმოების განვითარება შეეძლო. ამბობენ, ეს შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ბაქოს ნავთს რუსეთის შინაური ბაზარი კრიზისის გამო მეტად შევიწროებული აქვსო; მაგრამ ავიწყდებათ, რომ ბაქოს ნავთის მრეწველობის სვე-ბედი რუსეთის შინაურ ბაზრის პირობებზე როდია დამოკიდებული. ბაქოს მრეწველობას ბაზარზე გამოაქვს ნავთი ყოველ-წლიურად საშუალოდ 400—450 მილიონი ფუთი, აქედან თვით რუსეთის შიდა ბაზარზე 60—65 მილ. ფუთამდე გადის. ცხადია, ინტერესი სხვა მხარეზეა და ეს მხარე გახლავთ ევროპის დიდი და პატარა სახელმწიფონი. სანამ ბაქოს ნავთის მრეწველობას საზღვარ-გარეთ გაქანის ხელოვნური დაბრკოლებანი არ ჰხვდებოდა, მას მსოფლიო ბაზარზე პირველი და საუკეთესო სიმაგრე ეჭირა: ამერიკა-მექსიკა და რუმინია ავსტრია ბაქოს ვერაფერს აკლებდა და ამიტომ ბაქოს ნავთის ექსპორტი დღითი-დღე იზრდებოდა.

უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში ნავთის ნაწარმოებთა გადატან გადმოტანის ბაჟი ბათუმ-ბაქოს რკინის გზაზე—ოცდა ოთხჯერ შეიცვალა?! მიადით და ამ პოლიტიკას რამე გაუგეთ! რომელი მწარმოებელი იქნება იმაში უზრუნველყოფილი, რომ ნავთი, რომელსაც ის მყიდველს, ვთქვათ, ინგლისში 65 კ. აბარებს, ხვალ, ბაჟის გადიდებით, იძულებული არ იქნება წინანდელ ფასში აძლიოს ხელშეკრულობაში შესულ მყიდველს და თვითონ კი ბაქოში ნავთი 10—12 კ. დაუჯდეს, მაშინ, როცა ბაქოშივე ნავთის მრეწველთ ნავთის მიწის წიაღიდან ამოღება მთელი 14—15 კ. უჯდება—და აი, ამ კურიოზულ გზით ფიქრობენ ბაქოს მრეწველობის განვითარებას და ხაზინის შემოსავლის გადიდებას!..

მთავრობამ მეტის-მეტად გაადიდა სატრანსპორტო გადასახადი ნავთზე. ბათუმიდან ბაქოს რკინის გზის მაგისტრალზე მომუშავე ცისტერნებით ხომ შეუძლებელი გახდა ნავთის გატანა ბათუმ-საზღვარ-გარედ, საგანგებოდ აშენებულ ნავთის საყვანიც ფისკალურ ინტერესს დაუმორჩილეს და საფუთო გადასახადი 19 კაპიკი გახადეს, ასე რომ ნავთის ფასი ფუთობათუმში უკვე 37—38 კ. ჯდებოდა. რაკი ტარიფი გაადიდეს, ბაქოს ნავთს გზა დაეხშო და პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ამ გარემოების წყალობით ამერიკამ ამოისუნთქა თავისუფლად. ამერიკის ნავთს ჩამოშორდა ძლიერი მეტოქე ბაქოდან, ის მყისვე გაბატონდა მსოფლიოს ბაზარზე და,—როგორც „Нефтяное дѣло"-ს საზღვარ-გარეთელი კორესპონდენტი იუწყება თავის ერთ ერთ საგულისხმო წერილში,—1902 წ. ამერიკის ნავთის ექსპორტი ინგლისში (ინგლისი უმთავრესი მხმარებელია ნავთის ნაწარმოებთა) უდრიდა 48,26%, ხოლო 1910 წ. კი ამ ნახევარზე ნაკლებ %-მა მიაღწია მთელ სამ მეოთხედს, ე. ი. 74,25%. ასეთი ბუმბერაზული წინსვლა ამერიკის ნავთის ექსპორტისა ბაქოს ნავთის ექსპორტის ხარჯზე გახდა შესაძლებელი, რადგან ინგლისი რუსეთის ნაწარმოებთა ერთი უდიდესი მომხმარებელთაგანი იყო.

საზღვარ-გარეთელ ნავთის მრეწველთ არ დაიყოვნეს რუსეთის ნავთის ბედ-იღბლის პირობების გაგება და აი—ისინი იწყებენ თავიანთ მასალის გასასაღებლად შეკავშირებას და მუშაობას. შესანიშნავი Standard O. E. C. Co — ბაქოს მრეწველთა დაუძლურებით გაფართოვდა და ისე მოაწყო მთელ მსოფლიოში ნავთის აღებ-მიცემობა, რომ დაუძლურებულმა რუსეთის მრეწველებმა ყოველივე იმედი უნდა დაჰკარგონ Standard-ის გამოკლავებაზე. რამდენადაც ძლიერდებოდა Standard-ი, იმდენად კნინდებოდა ბაქოს მრეწველობა, მცირდება მუშათა რიცხვი, საშინელ პირობებში აყენებენ მუშათა ხელ-ფასს და საერთოდ შეუწყნარებელ რეაქციას იწვევდნენ, როგორც წმინდა პოლიტიკაში ისე ეკონომიის სფეროში. ჩვენში ამბობენ: მხედარი, ცხენს რომ ვერ მოერია, უნაგირს დაუწყო მტვრევაო,—სწორედ ასე დაემართა ბაქოს მრეწველთ, როცა მათ დაკნინების შხამი ერთიანად მუშათა მოძრაობას გადააბრალეს.

მაგრამ, მუშათა მოძრაობის თავზე სხვა და სხვა ბრალდებათა მოხვევა მრეწველთა პოლიტიკურსა და ეკონომიურ ინტერესებს შეადგენდა, თუმცა მათ კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული, თუ ვინ იყო და ვინ არის ბაქოს მრეწველობის დაუძლურების ნამდვილი მიზეზი. ცხადია, მრეწველნი მარტო მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ გალაშქრებით არ დაკმაყოფილდებოდნენ და ბრძოლას სხვა ფრონტზედაც დაიწყებდნენ. ეს ფრონტი არის ბრძოლა არსებულ ვითარების წინააღმდეგ, ბრძოლა ტარიფის გარშემო. ეს ბრძოლა საინტერესოა, როგორც მთავრობის ისე მრეწველთა დასახასიათებლად. გარდა ამისა, ეს ბრძოლა ჩვენ გვიაშკარავებს ნამდვილ მიზეზს ნავთის მრეწველობის დაუძლურებისას და ამიტომ ფრიად საინტერესო იქნება შემდეგს წერილში მრეწველთა ამ ბრძოლას შევეხოთ და დავახასიათოთ.

**თედ. ღლონტი.**

ცი, რ. ხოშტარია, მ. ხონელი, დ. ჩიქვაძე და მასთან მომღერალთა გუნდი ბ-ნ ნ. ყურუშაძის თაოსნობით. წარმოდგენილი იყო პირველად 23 აპრილს „დედა და შვილი", ი. ჭავჭავაძისა, „დილა ქორწილის შემდეგ" ა. ყაზბეგისა, ცოცხალი სურათი გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოდან" და შ. დადიანმა წარმოდგენის წინ წაიკითხა რეფერატი თეატრსა და მის მნიშვნელობაზე.

მეორედ დაიდგა „აღდგომა", მესამედ—„არსენა" და „ტაინი სოკვეტნიკის სიზმარი", მეოთხედ—„როს ნადირობდენ", და „დავიდარაბა", მეხუთედ —შალვა დადიანის საბენეფისოდ „ქურდი" ბერნშტეინისა და „არც აქეთ არც იქით" გუნიასი. ადგილების ფასი იყო ხუთი შაურიდან ორ მანეთ და ათშაურამდე. ლოჟების ფასი 6 მ. 40 კ. წარმოდგენება იმართებოდა ბ. საჭურიძის ახლად აგებული თეატრში.

შემოსავალი იყო: პირველ წარმოდგენიდან 230 მ. 10 კ. მეორიდან 223 80კ. მესამიდან 1412.15 კ. მეოთხიდან (ადგილობრივ ქართული სკოლის სასარგებლოდ) 321 მ. 80 კ. მეხუთიდან (ბენეფისი შ. დადიანისა) 265 მ. 95 კ. სულ 1182 მ. 80 კ.

გასავალი: თეატრი შაბათობით 75 მ. ერთი კვირა 100 მ. სულ 400 მ. სტამბა 72 მ. პარიკმახერს 17 მ. აფიშების გაკვრა 9 მ. 50 კ. დამრიგებელს 6 მ. 50 კ. როლების გადამწერს 10 მ. 33 კ. არტისტების გასამრჯელო 312 მ. 65 კ. სკოლას წმინდა 184 მ. 98 კ. მარკები 71 მ. 1 კ. ტანისამოსები შევიძინეთ 6. მ. 76 კ. წვრილი ხარჯები 24 მ. 37 კ. ფონდისთვის გადაიდვა 31 მ. 70 მ. სულ 1182 მ. 80 კ.

მომავლისთვის წრეს მიზნადა აქვს, შემოდგომაზე მოიწვიოს რამოდენიმე მსახიობი და შეუდგეს პერიოდულ წარმოდგენების მართვას.

ხაზინადარი გრ. ერქომაიშვილი.

# ალბანეთის აჯანყება

დეპეშები

22 თიბათვე.

**სტამბოლი.** პორტამ ალბანელების მოთხოვნილებანი განიხილა და უარჰყო სამაგიეროდ თურღუთფაშას დანაპირევი დაადასტურა.

**ცეტინიე.** პოდგორიცაში ალბანელების წარმომადგენელნი მოვიდნენ იზმაილ-ქემალ-ბეისთან მოსალაპარაკებლად. უმაღლეს წრეებს აზრადა აქვთ, რომ ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის ელჩნი, როგორც ნაკლებად დაინტერესებულ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, პოდგორიცას წავიდნენ და მონაწილეობა მიიღონ.

**ცეტინიე.** 21 თიბათვეს მეფე ნიკოლოზმა დიპლომატიურ კორპუსს განუცხადა, რომ 22 თიბათვისათვის მოსაზღვრე ჯარის მობილიზაციაა დანიშნული. შეიკრიბება 7.000 კაცი და 30 ზარბაზანი. თან ისიც დაუმატა, რომ ომი არა სურს, ამას მხოლოდ სიფრთხილისათვის შვრება, რახან ოსმალეთმა საზღვრებზე ჯარი ხელ-ახლად შეაგროვა. გენერალი ვუკოტიჩი ვასროვიჩას წავიდა. მან ჩერნოგორიის ჩრდილოეთის საზღვრები უნდა დაათვალიეროს.

**გაზეთებიდან**

მორიგების იმედი და ომის შიში ერთმანეთშია არეული. გაზეთებსა და დეპეშებს თითქმის ყოველ-დღე მოაქვთ ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები. ალბანელებმა ოსმალეთის ცეტინელ ელჩს 18 ამ თვეს პასუხი გასცეს მის წერილობით განცხადებაზე. პასუხში ალბანელები ამბობენ, ჩვენ წინანდელ მოთხოვნილებას მაგრად ვადგივართ და დათმობას არა ვფიქრობთო. მიუხედავად ამ განცხადებისა სადრედინ-ბეის, იზმაილ-ქემალ-ბეის და ხაკი-ბეის მორიგების იმედი მაინცა აქვთ. იმავე დღეს გამოსთქვეს მათ ეს იმედი, პორტას ჰსურს სისხლის ღვრას ბოლო მოუღოს და უეჭველია ალბანელებს კიდევ დაუთმობსო. ამავე დროს ბერლინელ გაზეთის „ფრანკტ-ცეიტუნგ"ს სტამბოლიდან დეპეშით შეატყობინეს, პორტა მოთმინებიდან გამოსულია და გადაწყვეტილი აქვს ამ დღეებში განაცხადოს, თუ ჩერნოგორია ალბანელების წაქეზებასა და მიშველებაზე ხელს არ აიღებს, ჩემი სახელის დასაცავად ომს გამოვუცხადებო. ჩერნოგორიაში ხმა გავრცელდა, ოსმალეთმა მთავრობას ულტიმატუმი გამოუგზავნაო, მთავრობას ეს არა სჯერა, ოსმალეთი ომის დაწყებას ვერ გაჰბედავსო. გაჰბედავს თუ არა, ეს ოსმალეთმა იცის, მაგრამ გერმანელ გაზეთს „Local-Anzeitung"-ს კი სტამბოლიდანატყობინებენ, ოსმალეთი საომრად ემზადება, ინგლისელ ქარხნებს 100 დიდი და 36 სამთო ზარბაზანი შეუკვეთაო. ამას გარდა შეუკვეთნია აგრეთვე 3 ტყვიის მტყორცნელი და 3.500 რევოლვერი.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 თიბათვე.

**საზღვარ-გარედ.**

**პარიზი.** ჩვავას ელკსარიდან ატყობინებენ, პოდპოლკოვნიკი სილვესტრი რამდენიმე აფიცრით შერიფის ჯარის ყაზარმაში მივიდა და განაცხადა, ყაზარმებს ისპანიის ჯარისთვის მოვითხოვთ. მეორე ცნობაა ლარაშიდან, ვითომ იქ 250 ისპანელი სალდათი მისულიყოს.

**ვენა.** „ფრემდენბლატტი" ამბობს: ავსტრია, რომელიც საფრანგეთსა და ისპანიას მაროკოს საქმეში ენდობოდა, აქამდის იცდიდა. ეხლა ამ მდგომარეობის თავის დასანებებლად მას საფუძველი არა აქვს. ავსტრია გერმანიის მოქმედებას თანაუგრძნობს. გერმანიამ ისპანიისა და საფრანგეთის მაგალითებს მიჰბაძა და ამავე დროს თავის ქვეშევრდომთა დაცვის უფლებას ემყარება. ეს უფლება ყოველ სახელმწიფოსა აქვს. გერმანიის ბიჯი მაროკოს საკითხის პრაქტიკულ გადაწყვეტას ხელს უწყობს. გაზეთი იმ სახელმწიფოებს, რომელთაც მაროკოში პირდაპირი ინტერესი არა აქვთ, ურჩევს ახლავე მოეკიდნენ საქმეს, ვინაიდან ყველასათვის სასურველია, რომ მაროკოს კარი ღია იყოს. ავსტრიას იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთაც თავისი საქონელი შეაქვთ მაროკოში, მეოთხე ადგილი უჭირავს და თუ საჭიროება მოითხოვს თავის ეკონომიურ მოსაზრებით იხელმძღვანელებს.

**ბელგრადი.** ახალ კაბინეტის შედგენაში ძველი რადიკალები კოალიციის თანახმანი არიან მხოლოდ იმ პირობით, თუ პროტიჩი ფინანსთა პორთფელს შეინარჩუნებს, ხოლო პრიდანოვიჩი კი თანამდებობიდან გადადგება. ახალ-გაზრდა რადიკალები ამის წინააღმდეგნი არიან. შესაძლებელია, რომ სამინისტრო ძველმა რადიკალებმა შეადგინონ.

**ლისაბონი.** დამფუძნებელი კრება კონსტიტუციას იხილავს. მექსიკამ პორტუგალია რესპუბლიკად სცნო. სათადარიგო ჯარების მობილიზაცია ისევ სწარმოებს. მოწვეულია 20.000 კაცი.

**მანჩესტერი.** ქუჩაში უწესობა განახდა. პოლიციამ რევზინის ჯოხები იხმარა. რამდენიმე კაცი დაჭრილია.

**ნიუ-იორკი.** სიცხე მატულობს. 21 თიბათვეს სიცხე ცელსით 40 იყო. სიცხემ ნიუ-იორკში 26 კაცი მოჰკლა, ჩიკაგოში 19, პიცბურგში 15, ფილადელფიაში 9, ახალ ინგლისში 31.

**ურმია.** სპარსელების აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ არა სცხრება.

**რ უ ს ე თ ი.**

**პეტერბურგი.** ჩინეთის დესპანები მოვიდნენ, მათ დუბესცზანი ჰმეთაურობს. დესპანებმა რუსეთ-ჩინეთის 1882 წ. ხელ-შეკრულება უნდა გადაათვალიერონ.

**ვოლოგდა.** აფეთქდა ყალბი ფულის ქარხანა. სამი კაცი დაატუსადეს.

**პეტერბურგი.** გზათა მინისტრმა შეადგინა საუწყებათაშორისო კომისია, კავკასიის უღელ-ტეხილზე გვირაბის გაყვანის გამოსარკვევად.

დაატუსადეს „რუსსკოე ზნამია" 146 №. რედაქტორი დუბროვინი პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

დაატუსადეს ჟურ. „რუსსკოე ბოგატსტვო" 6 №. რედაქტორი კოროლენკო პასუხის-გებაში მისცეს.

**მოსკოვი.** სამკალ მანქანათა ქარხანაში 1500 მუშა გაიფიცა. მოთხოვნილება ეკონომიურია.

მოსკოვის საგუბერნიო ერობა მოიწვევს ყველა ერობათა წარმომადგენლებს საქონლის დაზღვევის საკითხის გამოსარკვევად.

**ლოძი.** დაიწვა ქსოვილების საწყობი. ზარალი 80,000 მან.

**კიევი.** არალეგალურ პოლონურ საზოგადოების წევრობისათვის ორს სასამართლომ 2 წლით ციხე მიუსაჯა.

გაიარა პროფ. მეჩნიკოვმა, რომელიც პარიზში მიდის. მისი სიტყვით, ის საშუალებანი, რომელიც ყირგიზის მინდვრებში მთავრობას უხმარია, სრულიად საკმარისია, რომ რუსეთში შავი ჭირი არ იქმნეს შემოტანილი.

# თეატრი და ხელოვნება

**დ. ხონი.** 11 ივნისს აქ წარმოდგენების სეზონი გაიხსნა. წარმოადგინეს ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯე" და დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი". წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდნენ გარდა ადგილობრივ სცენის მოყვარეთა ქ. ქ. ნ. ჯავახიშვილი, შოთაძე, ლორთქიფანიძე. ბ. ბ. ვ. შალიკაშვილი, ი. ზარდალიშვილი და ა. ყაულამბეკიშვილი. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა, ხონის პატარა თეატრი მაინც სავსე არ იყო.

12 ივნისს კიდევ წარმოადგინეს: „ბატონი და ყმა" და „უბედური დღე". ხალხი ცოტა დაესწრო. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა. წესიერება ამ საღამოს ნაკლებ იყო დაცული. ხალხი იმდენი დაესწრო, რომ 40—45 მანეთამდე შემოვიდა.

წარმოდგენები აქ ყოველ-კვირაში ორჯელ გაიმართება.

აქილესი.

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენის გაზეთის საშუალებით ღრმესი მადლობა გამოუცხადო ბატონთ: იაგორ მილოსაიკოს, ივანე ლორტსა და მიხეილ მალთაკელიძეს, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამი რწმუნებულ სოხუმის ქართულ სკოლას—13 მ. 50 კ. ნაცნობთა შორის შეგროვილი და ბ.ბ. ივანე გომელაურსა და გიორგი ჭუმბურიძეს, რომელთაც შემოსწირეს ამავე სკოლას—5 მანეთი „ნაკადულის" გამოსაწერად.

სოხუმის ქართულ სკოლის გამგე ნიკო ჯანაშია.

—

უმორჩილესად ვთხოვ პატივცემულ რედაქციას ნება მიბოძოს „სახალხო გაზეთი"-ს ფურცელზე გავასწორო ის შეცდომები, რომელსაც მოუფიქრებლად უშვებს კორესპონდენტი „პესიმისტი" ამ გაზეთის № 331 სამტრედიიდან გამოგზავნილ წერილში.

1. ვაჭრები არ შეკრებილან აბრეშუმის პარკის ფასის დასაკლებად, არამედ ამ ფასების საზღვარ-გარეთულ ფასებთან შესათანხმებლად, რომ ერთი მეორესთან მეტოქეობით არ ეზარალნათ.

2. ბოქაულმა ისინი გადასწერა არა როგორც ხალხის საწინააღმდეგო მიზნისათვის შეკრებილნი, არამედ როგორც მთავრობის ნებადაურთველად თავმოყრილნი.

3. ამ კრებაზე არ ყოფილან ვაჭრები სტეფანე და ივანე სტურუები და მაქსიმე გუგუნავა.

4. ჩამოსული თათარი მამედოვიც იყო იმ კრებაზე და სამართლიან ფასებზე კრინტიც არ დაუძრავს, რადგან უსამართლო ფასების დაწესებას აშკარად მაინც არავინ ფიქრობდა.

5. მე ბოქაულთან ვიყავი არა როგორც ვაჭრების ძომაგი, არამედ როგორც მოსარჩლე ჩემის ბიძაშვილის აპ. ნ—ლისა, რომელიც არ არის ვაჭარი, არამედ ერთი პატარა მოსამსახურეთაგანი გუსეინოვის ფირმისა, თითონ არ ყიდულობს პარკს და კრებაზე მხოლოდ ახლდა თავის აღას, როგორც მცველი და თარჯიმანი.

პატივისცემით ექიმი რ. ნანეიშვილი.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც სოფ. ქვემო-მაჩხაანში ფოსტა-ტელეგრაფის გასახსნელად ფული შემოსწირეს.

შემომწირველთა სია: ვასილ ნადიროვი 30 მ., მ. მატიაშვილი 10 მ., მ. ღვინაშვილი 10 მ., რ. ჯალიაშვილი 15 მ., ტ. ელიევმა 2 მ., ი. მენთეშაშვილი 20 მ., ზ. ფაშალიშვილი 7 მ., გ. ნასრაშვილი 3 მ., ვ. გონაშვილი 2 მ., სიკა ჯანყარაშვილი 4 მ., ვანო მოსულიშვილი 4 მ., მ. ნასიძე 10 მ., ალ. ნადიროვი 15 მ., ვ. დოლიძე 2 მ., მ. ჯანყარაშვილი 15 მ., ზ. თამაზაშვილი 6 მ., ილა მოსულიშვილი 7 მ., ხ. მჭედლიშვილი 4 მ., ნ. პუტრიაშვილი 7 მ., ე. მენთეშაშვილი 4 მ., ს. თამაზაშვილი 5 მ., ი. ჯანყარაშვილი 8 მ., გიგა ჭუჭულაშვილი 4 მ., ლ. თარაშვილი 8 მ., ვ. ხარაშვილი 4 მ., ვ. ხოსიტაშვილი 1 მ., წ. პაპალოვი 4 მ., ი. ესტატოვი 5 მ., ნ. კორაშვილი 12 მ., თაორეებმა მირზა და აჯიამ 10 მ., ვ. ჯალიაშვილი 3 მ., შ. ყარანგოზოვი 1 მ., მღ. მ. მენთეშაშვილი 10 მ., ა. ყარანგოზოვი 2 მ., მ. ქართველიშვილი 2 მან., ტ. ჯანყარაშვილი 2 მ., დ. ეფრემოვი 3 მ. ა. ფარემუზოვი 3 მ., ქ. ჯანყარაშვილი 4 მ., ზ. მახარობლიშვილი 4 მ., ს. პუტრიაშვილი 2 მ., ლ. მჭედლიშვილი 4 მ., გ. მჭედლიშვილი 4 მ., ვ. ალადაშვილი 5 მ., ს. კურცხალია 20 მ., მღ. ი. ტუკუშევი 10 მ., მ. ჯალიაშვილი 15 მ., კ. როსტომოვი 2 მ., გ. კიკილაშვილი 1 მ., ლ. გომელაური 1 მ., ს. პაპალოვი 2 მ., გ. მოსულიშვილი 3 მ., მ. მოსულიშვილი 3 მ., ა. ქარუმოვი და მ. არუთინოვი 15 მ., მღ. ან. ჯამასპიშვილი 10 მ., პ. გონაშვილი 5 მ., მღ. კ. ღვთისავაროვი 10 მ., მღ. ი. მენთეშაშვილი 10 მ., მღ. ი. ალადაშვილი 5 მ., ექიმი ა. ხითაროვი 15 მ., მღ. კ. ნინიკაშვილი 5 მ., მღ. ვ. ქოქიაშვილი 3 მ., მღ. ეგნატე მენთეშაშვილი 10 მ., მღ. მ. ბენაშვილი 5 მ., ალ. თათარაშვილი 10 მ., ნ. სომხიევი 5 მ., გ. პაიჭაძე 5 მ., გ. გოგინოვი 1 მ., დ. მენთეშაშვილი 50 კაპ., ს. ერაპეტოვი 2 მ., ა. ყატაშვილი 50 კ., ა. სიმონოვი 50 კ., თ. ბოსტაშვილი 25 კ. კ. ჯანიაშვილი 25 კ., ტ. ჯალიაშვილი 50 კ., ვ. ოტიაშვილი 1 მ., ნ. ჯანყარაშვილი 1 მ., გ. ყარანგოზოვი 50 კ., ა. მჭედლიშვილი 50 კ., მ. მჭედლიშვილი 50 კ., შ. ღვედაშვილი 50 კ., ქ. და ი. ასანიშვილები 1 მ., ილო დუღაშვილი 1 მ., გ. ბახტურიძე 1 მ., შ. მჭედლიშვილი 50 კ., გ. თანდაშვილი 5 მ., ი. მენთეშაშვილი 10 მ., ი. გომელაური 10 მ., ს. დვალი 5 მ., ი. ბეგიაშვილი 2 მან.

ალ. ჯანყარაშვილი.

—

ბატონო რედაქტორო! გთხოვ უმორჩილესად ადგილი დაუთმოთ ამ პატარა წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთში:

ცაგერის უფასო სახალხო სამკითხველოს დამფუძნებელი კომიტეტი ღრმეს მადლობას უცხადებს მე-2 ასეულის 1-ი ზაამურის ცხენოსანი პოლკის პორუჩიკს გიორგი დავითის-ძეს ყრუაშვილს, რომელმაც კეთილ ინება და სამკითხველოს სასარგებლოდ გამოგზავნა 25 მანეთი ფულად.

კომიტეტის თავმჯდომარე

ნ. ხარაძე.

—

ბ. რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად თქვენ პატივცემულ გაზეთში ალაგი დაუთმოთ შემდეგს წერილს:

უგულითადეს მადლობას უძღვნი ს. ავლევში მცხოვრებელს კნეინა ქეთევან გაბრიელის ასულს ამირეჯიბისას, რომელმაც ჩემდამი რწმუნებულ ავლევის ღვთის-მშობლის ეკლესიას შემოსწირა ბადი და ერთი წყვილი დროშა 70 მანეთად ღირებული.

ავლევის სამრევლო ბლაღოჩინი მღვდელი. ზ. ხბადაგაძე.

# რედაქციისაგან

რედაქციამ მიიღო ევდოშვილის სახელობაზე გრიგოლ კაპანაძისაგან 20 მან. და 11 კაპ., კოტე ალექ ბერძნიშვილისაგან 32 მან. შემომწირველთა სია:

**პირველისა:**

ალექსანდრე დავ. ბახტაძე 2 მ. ნიკო ა. არონიშიძე 2 მ. თავ. ანემპოდისტე ტ. მიქელაძე 2. მ. მიხეილ ეგნატეს ძე კონტრიძე 2 მ. ვლადიმერ ლაზ. წვერავა 2 მ. კოტე ალექს. ბერძნიშვილი 2 მ. სერაფიონ რუხაძე 1 მ. დათიკო რუხაძე 1 მ. ივანე ოსეფის ძე ზუპიაშვილი 2 მ. Евгеній Давидовичъ Ломакинъ 2 მ. არშაკ სტეფანეს ძე მატინოვი 1 მ. Леонъ Мин. Цатуровъ 3 მან. ონისიმე თომ. ტყეშელაშვილი 3 მ. ბალდასარ ოსიფოვი 1 მ. Арсенъ Бабаевъ 1 მ. ივანე ძეგველოვი 3 მ. რაჟდენ მაქო. ტყეშელაშვილი 2 მ.

**მეორისა:**

თედო ცინცაძე 3 მან. ლევან კანკავა 50 კაპ., გრიგოლ კანკავა 50 კ., სიმონ კანდელაკი 30 კ., საბა ჩხაიძე 30 კ., ი. დ. 50 კ., ილიკო ქარიბაია 50 კ., კლემენტი დვალიშვილი 20 კ., ვ. კოპლატაძე 20 კ., ვანო კიკნაძე 15 კ., ვასო უტარნოვი 15 კ., რაჟდენ ბაბუხადია 20 კ., ხუხუტეიშვილი 20 კ., ვასო დვალიძე 50 კ., შაქრო ბახუტაშვილი 30 კ., ვიქტორ ჯოჯუა 30 კ., გ. ბერიშვილი, 20 კ., ლ. კუხიანიძე 1 მან. იასონ ფილიშვილი 30 კ., А. 15 კაპ., Бондаренко 20 კ., იაგორ ლლონტი 50 კ., ნიკო მკერვალიშვილი 30 კ., გიორგი ცირიკიძე 10 კ., გ. ბალარჯიშვილი 50 კ., დომენტი დვალიშვილი 50 კ., ილარიონ ფშორა 50 კ., კ. კოპინაშვილი 20 კ., ევგ. ხვედელიანი 40 კ., ილია გოგოლაძე 20 კ., ვ. დოგუხაშვილი 40 კ., Захарій Дубининъ 1 მ., В. 50 კ., ა. გოგილაშვილი 30 კ., Ахмед-бековъ მან., ნ. დ ჩ-ძე 50 კ., ქ. ი. 30 კ., გვირაბელი 1 მან., ალექსი 50 კ., ილარიონ გასვიანი 50 კ., Х. Х. 50 კ., Х. 20 კ., ერ. პაპიძე 50 კ. და გ. შარ. 50 კ.,—სულ 20 მ. 55 კ. აქედან ფოსტის ხარჯი 44 კ. დარჩა 20 მან. 11 კ.

გარდა ამისა ვ. ც-გან, ი. ზედგინიძისაგან თითო მან.

ეს ფული დანიშნულებისამებრ გარდაეცა.

რედაქცია.


# განცხადებანი

**დოქტ. ნავასარდიანისა**

უღამ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ა. ბაბანასოვა:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღლინი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვა.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. შაიბერშაცი:** 6—8 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—67)

„ს. პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია".

1860 წ. დაარსებული.

ოქროს მედალი პარიზისა 1900 წ.

**საპონი „გაშლილი ია".**




გლიცერინის საპონი „გაშლილი ია" ახალმოგლეჯილ იის სუნის სრულ შთაბეჭდილებას აძლევს: აქვს უხვად გამაგრილებელი ქაფი და კანსაც სინაზეს აძლევს.

მთავარი საწყობი: ტფილისი, საამთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (13—1293—1)

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

**ძმ. ძეგველოვების**

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი**

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

**ხიზილალა**

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მიიღეთ საუკეთესო პაიხუნი ხიზილალა

გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ. დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრე მიიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)

# გაფრთხილება

**ვინც იტანჯება**

ნერვების სისუსტით, სქესობრივ ულონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნევრალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ქლუქით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დაღუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლისგახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

გასასყიდად გავრცელდა მრავალი იაფ-ფასიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი, ჩვენის სპერმინის მიბაძულებანი, რომელსაც ნაირ-ნაირ სპერმინის სახელით ასაღებენ და სნეულთა შეცდომაში შესაყვანად ამ ყალბ წამლების მკეთებელნი წამალთან ერთად უგზავნიან ექიმებისაგან დადასტურებულ ჩვენის სპერმინ-პელის რეკლამას, და თავის წამლის რეკლამად ასაღებენ. ამისათვის ჩვენს მოვალეობადა ვთვლით ჩვენის სპერმინის მხმარებელნი გავაფრთხილოთ. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ იბეჭდება სპერმინის სიკარგეზე, ჩვენ სპერმინზე ნათქვამი, რომელსაც ეწოდება „სპერმინ-პელი" ყველა დანარჩენი საშუალებანი მხოლოდ უმგვანო მიბაძვაა ჩვენის ფირმის მიერ დამზადებულ სპერმინ-პელისა და მათი მარგებლობაც არავითარ შემთხვევაში ჩვენს წამლებს ვერ შეედრება. ერთად-ერთი, ნამდვილი სპერმინი ჩვენი სპერმინ-პელაა—თითო შუშა 3 მანათ. ✦ მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ სპერმინის თაობაზე აუარებელი ლიტერატურა. ✦

органотерапевтическій институтъ. профессоръ докторъ ПЕЛЬ и С.-вья.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.

# ა ვ ა ა ლ მ ყ ო ფ ე ბ ს

(Метцль и К-о. № 54437.) (12—1261—6)


სტამბა „ხორაპანი", მადათოვის კუნძული. რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.